


# მეგობრები

ინგლისის ახალი ჩემპიონი



სამი „დევ-გამირი“ შეიბა,  
 ზომულა დაიჭო ცხარია.  
 გაჰკრეს, გამოჰკრეს ერთმანეთს  
 ცხვირში აღინეს ძვარია.

მათში მაკდონალდს ჰქონია  
 გუშტი მარჯი, მკვრივია.  
 მან გაიმარჯვა შეჯიბრში,  
 ამით დასრულდა კრივია.



**მხლა** მეტი მორიდება გვმართებს მაკდონალდის მიმართ (კაცი პრემიერია) და ამიტომ ცოტათი შორედან დავეწყებთ.

**ჰენრი ჰინე** ინგლისს ადარებს კასტორის ზეთს, გამოწერილს დამხდვევ სალაროს ექიმის მიერ და ნაყიდს სააფთიაქოს სამმართველოს აფთიაქში, ადარებს და ასე ახასიათებს:

„ქვეყანა, რომელსაც სიძულვილისაგან ამდენ ხანს გადაკლავდა იქვინე, კუჭის აშლის რომ არ ეშინოდეს“.

ჰინეს მხედველობაში, რასაკვირველია, ბურჟუაზიული ინგლისი ჰყავს. ეს სინან მისივე იქვე მოთავსებულ სიტყვებიდან:

„...რუნი, მთვლენარე საშინელება, რომლის ყოველი ხუნთქვა მსჩოლავი ვაზია და სიკვდილის დანახვა... ბოლოს, ალბად, თავს ჩამოიხრჩობს თავისი ხომალდის ვეზერითელა თოკზე“.

**ჰინეს** ეს ლექსი (და ბაირონისაც, რომელმაც უწინაწარმოებუვლა ბურჟუაზიული ინგლისს დამხობა), ალბად, ამდენ ხანს ახდებოდა, რომ სარეცელზე სასიკვდილოდ გამზადებულ ბურჟუაზისათვის არ მიესწრო ისეთი დახელოვნებულ დღსტაქარს, როგორიც არის მაკდონალდი.

„სულზე მისწრება“ რომ იტყვიან, სწორედ ეს არის.

**ხუთი** წლის წინედ, როცა ბურჟუაზიული ინგლისი ივად იყო, მაკდონალდს შიართვეს სამკურნალოდ. ხოლო როცა მომავლდაშა მოიკეთა და ძალონე მოიკრიფა, ამ ჩვენს მაკდონალდს უტბად ისეთი მაგარი პანლური ამოჰკრეს, რომ პრემიერობის პორტველი ხელიდან გააუღებინეს.

**მხლაც** ავად არის ინგლისის კაპიტალი, რომელიც თავს იკატუნებს კარგად ვარო,—მაგრამ მაკდონალდის მოწვევა ამკარავებს მის დაავადებას.

**მის** გუხარდა მაკდონალდის გამარჯვება?

უწინარეს ყოვლისა თვით მაკდონალდს.

შემდეგ... შემდეგ, ეგებ, ჩვენს ემიგრაციას, რომელსაც, (როგორც თავისი ხუთი თითი ისე ვიცე), ასეთი საუბარი ექნებოდა:

— ჩვენმა ძმამ და პირის ზიარებამ თუ კი გაიმარჯვა, რალა გვიჭირს! გაგვისხენებს ძველ პურ-მარილს, რომელიც ჩვენს დროს მიილა საქართველოში.

— გაუხსენებს კი არა, სალამის მოცემასაც არ იკადრებს. არ გახსოვს, რა იმედი გვექონდა როცა პირველად პრემიერი გახდა,—მაგრამ, შენც არ მომიკვდე; მოგვენმა რა კი არა, გამოაცხადა: საბჭოთა კავშირს ჩვენ ვცნობილობთ იმ ტერიტორიაზე, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს... აი ჩვენი საქართველო ზედ მიაკერა... ეს არის მისი კაი ბიჭობა? ერთი კაი კაცი მე ვარ, მეორე—შენ დე მესამე—ის.

— მოიცა ძია. მაგას მე კი არ ვფიქრობ! მე იმას ვამბობ: ისე რავა წახდება, რომ ნასუფრალი მაინც არ გამოიმეტოს ჩვენთვის!

შეიძლება (და უფრო) კიდევ ეწყინა ჩვენს ემიგრაციას:

— ჩემბერლენი მეომარი ბიჭი იყო... უყვარდა წყლის ამღვრევა. ამღვრულ წყალში ადვილად დავიჭერდით თევზს!

— ამღვრულში რას დავინახავთ და რას დავიჭერთ?! ამღვრულში კი არა, დაწმენდილში ვერაფერი სიკეთე ვეჭერთ!

**მამბ** ახალშენებში დამონავებულ ხალხებს იმედი მიეცათ, რომ მაკდონალდი მათ შეუმსუბუქებს მონობის მძიმე უღელს?!

არა, ახალშენებში ესლა ალარ არიან ასეთი გულუბრყვილონი.

**მის** ეწყინა მაკდონალდის გამარჯვება?

არავის.

წარმოიდგინეთ, არც კონსერვატორებსა და არც ლიბერალებს სწყენიათ! არ ეწყინათ, იმიტომ, რომ, სულერთია, მათ საქმეს მაკდონალდიც კარგად გააკეთებს, როგორც დახელოვნებული და ერთგული მსახური.

**მამბ** მეფე გიორგის ეწყინა?!

მეფე გიორგი არც ისე სულელია, რომ მაკდონალდში მტერი და მოწინააღმდეგე დაინახოს. მართალია: მოხუცებულია და წისქვილში ნაჯდომ კრუნებით გამოტყინებული, მაგრამ მაკდონალდს მეფე უკეთესად იცნობს, ვიდრე, სამწუხაროდ, მუშები იცნობენ და მათ ჯერ კიდევ სჯერათ ახალი პრემიერის.

როცა არჩევნების გაცხარებული კამპანია იყო, მეფე გიორგი ასე ლოცავდა კონსერვატორებს, ლიბერალებსა და „მუშათა“ პარტიას:

— ღმერთა ვოხოვ თქვენს გამარჯვებას!

— ესენი ხომ არჩევნებში ერთმანეთის მოწინააღმდეგენი არიან და ასეთი დალოცვა როგორ შეიძლება?! — უპიერად უელსის პრინცს.

— ჩვენთვის სულერთია ამათში ვინც გაიმარჯვებს. არც არაფერი მოგვემატება და არც არაფერი დაგვაკლდება. რატომ უნდა ვაწყენიოთ ან ერთსა და ან მეორეს?! — ინგლისური დიპლომატიური ლოდიკით მოუქრა მეფემ სიტყვა პრინცს.

**გაგვისხარდა** თუ გვეწყინა ჩვენ მაკდონალდის გამარჯვება? — აი ეს არის მკითხველისათვის უფრო საინტერესო.

ვიტყვით გულახდილად: გაგვისხარდა, გაგვისხარდა არა იმიტომ, რომ მაკდონალდიდან ჩვენ თითქოს სარგებელს მოველოდეთ, ანდა ის ჩვენი მეგობარი იყოს. არა ჩვენ იმიტომ გაგვისხარდა, რომ ერთხელ კიდევ ინგლისის მუშათა კლასი თავისი თვალთ დაინახავს სინამდვილეში მაკდონალდის სიტყვასა და საქმეს, რომელთა „მუა უზის დიდი ზღვარი“.

# ნეოპოეტური პოეზია

ბიჭმა უმეტესუნა გოგონას და გოგომ დაიკენესაო; ხეგობს ხიცოცხლესა ნაძრანსა... პარასკევია დღესაო. გოგოს პოეტური სიკვდილსა ეს ღეჭის მივახაღეო; გოგო სხვა სატრფოს მოძებნის, შაბათი დღეა ხვაღეო. გოგომ დაიწყო ხელახლა მაღლა ტუჩების ბჭეკაო; მოუნდა ისევე ხვანხვადო. ორშაბათია ზეგაო. ამზობს: „არ ვარგა ესაო“. ვანკის აფთიაქს მიმართოს... პარასკევია დღესაო. ბიჭი გოგოს ეუბნებდა: — გოგო ნუ გაქვს ღვარძლი გულში! წადი ნახე—ახმეტელშია „ღვარძლი“ დადგა შენთვის გულში! გოგომ უთხრა:—ბიჭო რადგან მიღლატე, დამსხვი ობლად; ვიყო მართლაც დედაკაცი თუ არ გითხრა ერთ დროს „მოპლა“. ბიჭმა უთხრა: შარს რისთვის მდებ, ჩემგან არ გყავს შენ ეს ბუში; დამხსენი თუ ღმერთი გწამს გენაცვალე „კაკალ გულში“! გოგომ უთხრა:—მოლადატე, რად აკოცე სხვა ქალს გულში? ქვა და მენიც დაგაჟარე მაგ უმადურ „კაკალ გულში“. ბიჭმა უთხრა: გოგო მოდი, კვლავ შევევრთდეთ წვით და დაგვით! შენს გულში და ჩემს გულშიაც ხომ „გუგუნებს ღიანდაგი“! გოგომ უთხრა: „რად არ იცი, დაბადებით რომ ვარ ევა? ვერაფერი მომპარუნებს, რადგან მოხდა უკვე „რღვევა“!

მირთხა



## საღამო გარეუბანში

### შ ე ე ნ ღ ა

წინდაწინ ვიცოდი მაგ ენა გატლიკინებული ლევან-ტინეს საქმე რომ ვერ წვევიდოდა კარქათ. რავე, ქოყანა მთლად ისე კი არაა დაფსებული, რომ მაგისთანა ტუტუ-ცების საჯირითით ვახადონ.

პარტიულ ვარ და ვერაფერს მიზამენო. ასე ფიქრობდა მაგი გლახა, მარა ახლა ხომ ჩოუფარდა კობზი ნაცარში. რავე ეგონა აბა მაგას... ამდენ ცოდვეს რავე შეარჩინდენ. ჯერ ერთი მამა მისი ნიკოლოზის დროს „სტრაჟნიკი“ იყო და ვინ იცის რამდენი სიავე და წახდენის დღეი დაგვაყენა თავზე. ახლა და, იჭიმება და ჯოგიდან გამოწყვანილ მოზვერივით შტომავს თვალებს.

მაგის შვილი დააყრიდა ქოყანას ხეირს. არა, ერთი მითხარი—კაცი მთლად ისე რავე დაკარქავს სინდისს, რომ შენს მეზობლებს საღამო არ მისცე; მთლად ისე რავე გაგიწყრება ღმერთი, რომ გუმბრაში შენთან გაზრდილი ბაღნები ვეღარ იცნო?

ლევანტიე დაგლახებული რას ფიქრობდა, რომ ახლოს არავის იკარებდა. ფულს ისესხებდა—არ ვადაგინდიდა; კოპერატია და გლექკომი მთლად მაგან ვაატყავი.

რაც ვაი რამე მევიდოდა, ყველე მაგას მიჭონდა სასლში; ყველე დაშინებული და დალახვრული ჰყავდა. ეზოში უშველებელი ოდა გამოიჭიმა. ანდრიე ერისთავის სასახლე ქუჭული გეგონება მის სახლთან.

თუ არ ქაფავდა, საიდან მოახერხა ამდენი ქონების შექმნა?

სინდისის ნატამანი მაგის თავში არცა როის არ ყოფილა. დათვრებოდა და დედის გინებით აგვიღებდა ყველას; ეტყოდი რამეს და აყრიდა კვინტლებს სიმონ ხუცის ჯოროვით, წაატანდა ხელს წელზე ჩამოპროწილებულ ლევერს და ასტებდა ერთ ვაი უშველებელს. მთელი სოფელი აწიოკებული იყო მაგისგან.

ჯერე ნიკოიეს გოგონის ცოდვა რას უზამს მაგას. ცოლად წაგიყვანო ხუთ წელიწადს რომ პირდა და ზოლოს სხვა შეირთო. ვინ ჩამოთვლის მაგის ცოდვეს. მაგან პირდაპირ მოგაყა ცოციალისტი კაცის სახელი. არავინ უჩანდა თვალში, მარა ახლა... ახლა რომ გამოაბუნძულეს პარტიიდან... დაჯდეს აწი და ქეტოს ნაცარი.

იანო



# დაკარგულ დროსა დაკარგულ კლასიკებზე

(ბადროკათიკაშლია) ა. კოლცოვიდან

ეს ჯერ კიდევ მაისიდან იწყება. იენისში უკვე აღწევს თავის უმაღლეს წერტილს. ოქტომბრის შუა რიცხვებში თუ მის ბოლოში კი თავდება.

ამ რიგათ, სრული ხუთი თვე; თორმეტდღიანი—ხუთი; თითქმის მთელი წლის ნახევარი.

თქვენ გინდათ შექმნათ წესრიგი ქარხანასა გინდ დაწესებულებაში? რა თქმა უნდა, კეთილზე კეთილი სურვილია, რომელიც თქვენ დაგებადით ვულში, ალბათ, გაზაფხულის საერთო სინარჯის დღეებში. მაგრამ ფუჭი იმედია. პარტიკული ხალხი ქარხანასა თუ დაწესებულებაში, ხელების გამოლით, გეტყვის თქვენ:—ამჟამად უკვე ზაფხულია, შეგებულებათა პერიოდი. მაშასადამე, დაწყებას ახრი არ აქვს. დავუტადლოთ ისევ შემოდგომას.

თქვენ გაოცებითა და ცოტა აღშფოთებითაც იჩენთ მხრებს, მაგრამ, მცირე დაფიქრების შემდეგ, ეთანხმებით:

— დიახ, თქვენ მართალი ხართ... ზაფხული.. შეგებულებები... ისევ შემოდგომიდან... ასე სჯობს..

თქვენ გინდათ შეამციროთ სამუშაო დროს გაცდეს; ალაგმით უსაქმურები და დაუდევრები; ასწიოთ შრომის ნაყოფიერება—იგივე პრაქტიკული ხალხი გაოცებით გეკითხებათ:

— როგორ? როდის? ახლა? შეგებულებათა პერიოდში? თქვენ, ჩემო კეთილო, იმისიც მადლიერი იყავით, რომ წარმოება სრულიად არა სწყდება... საკვირველი კაცი ხარ, ჩემმა მზეში..

იენისის გამოცემაში, რომელსაც „მწვანე სიბივლი“ აწერია სათაურად, თქვენ ხედავთ უნიჭოთ დაწერილ ხალტურას, რომელიც რომინის ნაგლეჯს, რომელსაც არც თავი გააჩნია და არც ბოლო. და რომელსაც თანა სდევს აშშ-ის რეკონსტრუქციის სანელელო. თქვენ აღმფოთებული ხართ. მაგრამ გაბედეთ წინააღმდეგის თქმა. მაშინვე შეუდგებიან თქვენს მოგერიებას, როგორც მომხმარებელი შეზღუდვის:

— ზაფხულია ხომ! შეგებულებათა დრო! რა ლიტერატურა გინდათ ზაფხულში? რომელ იდეოლოგიაზე ლაპარაკობთ, როცა ხუთი რედაქტორისაგან—ერთი შეგებულებათა, ორი ახლა ემზადება ამისათვის, ხოლო ორი ეს-ესაა ახლახან დაბრუნდა? სასაცილოა თქვენი პრეტენზია.

ახა, რაღა გასაკვირია, როცა, თქვენ თავი დაახსიეთ რა ზაფხულს, ეჭვი

ეთ, როგორც იყო, სატანტო ქალაქს, შესდგით ფენი სახელმწიფო თეატრში და იქ კი სცენაზე ხვდებით თქვენს ძველ ნაცნობს, ტუგანროველ ავტორ - კუპლეტისტს, რომელიც თქვენ გიმღერის თითქოს პირველად თავის სიცოცხლეში თავის მომამბეზრებელს, „ახ, ქალებო, ქალებო, თქვენ ჩემო თვალებო“—ს და სხვ. გასაგებია საესეუბით.—ზაფხულია... გასტროლები...

სულ ტყვილად მოჰყვებით თქვენ ხელებისა და ფეხების ქნევას, წყლის ტოპვას, კულის ტყლაშუნს, მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვას, ტალღები თქვენ დაგწვით უკან, მიგასილავს ზაფხულისა და შეგებულებათა ნაპირში, სადაც ისმის მხოლოდ ერთფეროვანი საუბარი მაცესტის უპირატესობაზე პიატიგორსკის წინაშე და ბაიადერსკის კარიბჭის საგზაო ბუფეტის ღირსებებზე. და, როდესაც უკვე თქვენთან მრავა რომელიმე მოლოუშული მთხოვნელი უბრალო ცნობისათვის, თქვენ მას უპასუხებთ მთელის თქვენის გულუბრყვილობით:

— ახლა, თქვენ ჩემზე უკეთ გესმით, — ზაფხულია, შეგებულებების დრო.. მოითმინეთ ბარემ შემოდგომამდის, მაშინ გვინახულეთ!..

მთხოვნელს, რაღა თქმა უნდა, პირი წყლით ევსება. ის მწუხარე, მაგრამ მაინც შეგნებულსი სახით, გზორდება თქვენ, რაღა, თანახმად თქვენივე რჩევისა, შემოიხედოს თქვენთან შემდეგ, შემოდგომაზე, ნახევარი წლით უკვე მოხუცებულმა.

თქვენ კი, ჩამოიფერთხავთ რა ყოველგვარ პროზაიკულს მტერს თქვენი ფეხებიდან, აუწერელი სიმხნით შეუღლებით თქვენი შეგებულების გაქიანურებას: უკვე სამი კვირით აღრე დაიწყებთ ნივთების ჩალაგებას, ათი დღით აღრე ჩააბარებთ საქმეებს, ერთი კვირიდანვე შესწყვიტოთ სამსახურში რეგულიარულად სვლას, ხოლო ხუთი დღით აღრე ოფიციალურ შეგებულებამდის გასწევთ კურორტისაკენ.

კავკასიაში თქვენ თვალსა და გულსა გზვდებით კურორტებზე საერთო ხაოტიური მდგომარეობა, უეჭვიშობა და სხვ. თქვენს გაოცებას ზედმეტ გალიზიანებით გაფანტავს სანატორიის ადმინისტრაცია:

— რას ამბობთ, მთავრიდან ხომ არ ჩამოვარდნილობართ? ახლა ხომ ზაფხულია, შეგებულებათა პერიოდი! ეჭვი

მები ყველა ყიჩიმშია წასული დასასვენებლად.

თქვენს მეზობელ ოთახში კი ამ დროს ყირიმელი იქიმები სულელური სიყეყით ჰკლავდნენ დროს: ზაფხულის გატარებას ისინი კავკასიაში რჩეულობენ, ისე როგორ კავკასიელები ყირიმში.

მოასკოველები საზაფხულო დროს ვოლგაზე აქიანურებენ, ვოლგის პირელები—მოსკოვში, ლენინგრადელები—ოდესაში, ხოლო ოდესელები ლენინგრადში.

ასე და ანაირად ნახევარი წელიწადი თითქოს წყალს გაჰყავთ. ეს ნახევარი წელიწადი მიჰყვება ჩვენში რბილს, ფართოდ გაშლილს, როგორც საზაფხულო, სააგარაკო პერანგის გაღეღილი საყველო, ლოზუნგს:

— ზაფხული! დრო შეგებულებათა!..

საზღვარგარეთ იღვრება რევოლიუციონური მუშების სისხლი. ჩვენში იმმუშნება კლასობრივი მტერი, მშობი მკვლელები მას სოციალისტური შეჯიბრების მრისხანე ალღუმით—უპასუხებენ. მაგრამ ამჟამად დროს—ასეულ მილიონიან ხალხის საზაფხულო ჭაბანწყვეტის ხუთი თვის განმავლობაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი აბარატი, თავიდან ბოლომდე ლოკოკინასავით რბილობია, მთავდება, მძაღდება—თითქოს „ქრისტეს ტირილიაო“—სწყვეტს ნორმალურ მუშაობას.

მთავარი უბედურება იმათგან კი არ არის, ვინც თავის საეშმაკო ორგანიზაციის დასვენებაში წავიდა, არამედ იმათგან, ვინც რჩება ადგილებზე: წარმოებებსა და დაწესებულებებში იმათგან, ვინც ბურტყუნებენ: „ვმუშაობ ოთხის მაგივრად!“

იმათგან, ვინც „ჰალოოს“: „შეგებულებამდის კიდევ ცხრა დღე მიკვლია, ფეხებზე ვეღარ ვსდგები, ლანდათ ვიქეცი!“

იმათგან, ვინც წუწუნებენ: „ვერც კი მოვასწარი რიგინად დასვენება ამ მოკლე შეგებულებაში!“

იმათგან, ვინც ფართო-ფართო კომპენსაციები მიიღო, ხოლო თითქმის ნახევარი წლის შეგებულება კი ისევ დაწესებულებაში გაატარა, სადაც გაბრწნა და გაათხელა ყოველგვარი მუშაობა.

მაისი გათავდა, იენისი დადგა, მოდის ზაფხული, შეგებულებები, დასვენებანი, კურორტები!..

მაშ, მოდით და ოქტომბრამდის ბარემ ნუთაფერს ნულა-გავაკეთებთ!..

დნისიმი.



—უი, მია..

# ს უ ლ თ ა ნ ი

ჭუთაისი

ლიომიდე სადგურში დასეირნობდა. თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ქალს. მეხუთეჯერ შენიშნა ის ქალი სადგურში.

პირველ დანახვისთანავე აენტოა ღიომიდეც გული უცხო ქალის სიყვარულით, მიუახლოვდა და კიდევ გაიცნო.

— პირველ დანახვისთანავე ისე შემიყვარდი, რომ დღესვე ცოლათ უნდა შეგირთოთ! — უთხრა ღიომიდემა ახლად გაცნობილ ქალს და თავმომწონების ნიშნათ პორტფელი ხელში შეათამაშა. (საკვირველია: მემანქანე და პორტფელი!).

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — შეეკითხა ქალი.

— ღიომიდე პაიჭაძე... — და ფართოდ გააცნო ღიომიდემა ქალს თავისი თავი.

— ნუ თუ თქვენ ცოლიანი არა ხართ?

— როგორ გეკადრებათ! ცოლიანი კაცი გეკადრებით ამას? — იცრუა ღიომიდემა, რომელმაც საში დღის წინეთ ცემა-ტყეპით გააგდო მეშვიდე ცოლი.

მაღე ღიომიდეც მდიდრულად მორთულ ოთახში დატრიალდა ღიომიდეც მერვე ცოლი.

შეიძლება გაგიკვირდეთ: კომუნისტი და მდიდარიო? მაგრამ გასაკვირველი აქ არაფერია. შვიდ ცოლს რომ თითო სამაროლე მოყოლოდა მზითევით, მაინც გამდიდრდებოდა ღიომიდემა პაიჭაძე, რადგან გაგდების შემდეგ ცოლს აღარაფერს უბრუნებდა.

ორი თვის შემდეგ ცოლ-ქმარის მშვიდობიანი ცხოვრება მუშტებმა დაარღვია.

მერვე ცოლი ქმარზე მშლაფრი გამოდგა. ჩვენს ღიომიდეც ხშირად ვაჰქონდა იატაკზე ბრაგვანი. გასაშველებლად მისული მეზობლის ქალები ღიომიდეც ნიშნის მოგებით დასცინოდნენ.

— ეს დაღუპული ჭიდაობაში მერეა, ვეღარ ვცემ უწინ

დელ ცოლებივით. სახლიდანაც რომ ვეღარ მოვიშორე! ასე არც ერთი ცოლის გაგდება არ გამძნელებია. აქ „კვაჭობა“ საჭირო, თორემ სხვა ხანა არ არის! — ასე ფიქრობდა ყოველ დღე ღიომიდე.

და მართლაც ერთხელ ღიომიდე ადრე ღიომიდეც ადელ-ვებული შეგარდა სამილიციო უბანში და განაცხადა:

— არიქა, მიშველეთ, 200 მანეთის ობლიგაციები მომპარა ცოლმა. დევილუპე და დევიბსე კაცი!

მილიციის თანამშრომლები სასწრაფოთ შეუდგნენ ღიომიდეც ოთახის ჩხრეკას. ნახეს ყუთი, რომელის გასაღები ღიომიდეც ჰქონებოდა ჯიბეში. „დაკარგული“ ობლიგაციები ყუთში აღმოჩნდა.

— ალბად მაგან ჩამალა ყუთში და გასაღები მე ჩამიდგა ჩუმით ჯიბეში!

ასეთი პასუხი გასცა ღიომიდეც მილიციის უფროსს.

მაგრამ „კვაჭობამ“ ვერ გასჭრა და ცილისწამებინათვის სამილიციო საკანში (ჩვენებურად-ვირის აბანოში) ამოაყოფინეს თავი.

საკანი ხულიგნებით იყო საფუძე. ღიომიდეც ერთ სერიოზულ ხულიგანს მოუყვა თავისი თავგადასახალი:

— რა უბედური კაცი ვარ ცხოვრებაში. რვა ცოლი მყოლია. შვიდი გამომიცვლია, გამიღვრეთა და მიწამებია. მკრევე მე გამიღვრეთა და მომიყვანა აქ. მაგრამ ყველაფერს რა თავი დაუანებოთ, ერთი მითხარი თუ მმა ხარ, მაინც ხომ მე ვარ მოგებული? მითხარი, თავი ნუ მოგიკვდება, ხო! მე ვარ ნაჯობნი?

— ყოჩაღ და მალადეც ჩემმა მშემ! — დაუდასტურა ხულიგანმა.

— აბა, რა უნდა მექნა, კომუნისტი კაცი ვარ და ვებრძოდა მეშხანობას.

იჩიულელი თაღა.



# არ გშინიათ


# ამაო ძებნა

ტარტაროზ ჩემო ძაბია,  
 ნუ გამომაკლებ მასაში.  
 რაც ხდება დამზღვევ კასში  
 ფრთხილათ შემოდი... ხაჩიძემ  
 არ მოგამტვრიოს ცხვირია.  
 ყვირილით, ფეხის ბრაზუნით  
 ვასო განთქმული გმირია  
 მხოლოთ ამ რიგათ იქცევა  
 კაკარდოსანი ძველია  
 პარასკევს კილამ მოგვიკლა  
 წითელი არმიელია.

მისთვის ერთია: მოხუცი,  
 ბრმა, ხელმოჭრილი, კუტია;  
 ვერა სძლებს ისე, თუ მალა  
 საწყლებს არ შემოუტია.  
 იგი არ ჩადის იმას, რაც  
 მართლაც მდივანის ვალია.  
 მაშინ დაპრაწავს თვალებსა  
 თუ ნახა ტურფა ქალია.  
 ინვალიდისთვის ორ საათს  
 არ, აიხედავს ზევითა.  
 ტარტაროზ, ჩამოუწიე  
 ცხვირი ხაჩიძეს ქვევითა.

„ხელიკი“

ზე!



— რას შვრები, კაცო? დროს რად კარგავ? იმუშავე!  
 — დაიცა, ვეგბ აქ სწერია თუ რღგორ უნდა დავაშენდ აგურნი აგურ-

## მინაგო

ს. ოზჩა (ქუთ. მაზრა)

იყო ოზჩაში (და ეხლაც არის) ვინმე კობოძე მინაგო. ცაცი ფრიალ შეძლებული. მაგრამ ეს შეძლება მას გერ აკმაყოფილებდა. ან როგორ დააკმაყოფილებდა, როდესაც მის ზედმეტ ჭონებაში მთავრობაც უზიარდებოდა: ეს საგზაო ბეგარა, ეს სას.სამ. გადასახადი, დაზღვევა, სკოლა და შრავალი სხვა. ასე, რომ რაც გასესხებული ფულებიდან სარგებელი შემოდიოდა, თითქმის ამ გადასახადებს უნდებოდა და ხეირი ცოტა-ლა რჩებოდა.

— მოდი ვსინჯავ, გაეხდეს პარტიული, სოფლის ხელმძღვანელებს დავიხლოვებ. რაც ზედმეტი შემოსავალი მაქვს, ზოგ მათაც ჩავახეთქვინებ და ამით ბევრ გადასახადებს ავიცილებ!— გაიფიქრა მინაგომ.

მართლაც მელსავით გაძვრა-გამოძვრა, და 1927 წელს შიგ შუაგულ პარტიაში ამოჰყო თავი.

შეიარაღდა პარტიულით, ვინტოვკით და, ისე მალე მოგშორდათ ყოველი სატკივარი, როგორც მან მალე მოიშორა ზოგი გადასახადები.

ამის შემდეგ საბინაო ფონტზედაც მგრათ სდგას მინაგო. თუ უწინ მას მისი ანტი-მეზობლურ საქციელი-სათვის ყველა ემდებოდა, ეხლა ყველა სალამს აძლევს, ვინ გაუხედავს დამდურებას.

წელს მინაგომ ორ სართულიანი (ერთს არ დაჯერდა) სახლის კეთება დაიწყო. საძირკველის ჩაყრის დროს, ათიოდე ვაზნა ესროლა ეშმაკებს, რათა ეს უკანასკნელნი არ შემოიჩვეოდნენ მის ახალ სახლს.

მორწმუნე კაცია მინაგო და ღმერთი დაიფარავს მან გაწმენდისაგან.

აქვს ამისი იმედი.  
 მაგრამ ვნახოთ.

დაუზოგველია

## გათოჯის კოონიკავი

აჭარტორგმა მიიღო ეკლიანი მავთული. სახლი ააშენა კომბოზმა ორი სართული. კარებში მართალია ვერაფერს შეიტან, მაგრამ სამაგიეროდ ვერც გამოიტან იესა ვიწრო, კავშირმა მიიღო ორმოცი წვერი, მაგრამ ვარიცხა უფრო ბევრი.  
 — ფანჯრიდან შეიპარა გიტოსას ბაცანა და მოფიქრებაც ალარ აცალა, რომ ყველაფრიდან უცებ გასცალა.  
 — თავი მოიწამლა ელენემ როანის ნიდავზე.  
 — ნინა სასიკვდილოდ გაუწევა მატარებელს ლიან-დავზე,

მაგრამ მიღებულ ზომებით ორივე გადაარჩინეს, საავადმყოფოში მიიყვანეს და დააწვინეს.

— პეტრეს გაეჭკა თავისი თინა, მაგრამ რომ ვერ ნახა ვერსად ბინა, ისევ დაუბრუნდა პეტრეს სახლში (თუმცა ღამეებს ეხლაც ატარებს სხვებთან ბაღში).

### ხელოვნება

— მწერალთა რიცხვმა აქამად აიწია, სიცხისაგან ტვინმა გაიწია და გაღმობეთქა როგორც მდინარე. ბევრი სახლში სწერს ლექსებს მძინარე, ხოლო მთავლიტი ჩავარდა საფრთხეში ხუთასში ლექსის წიგნი მიდის ერთ დღეში, რომლის განხილვა არ შეუძლია არვის, ზოგი ეცილებდა შექსპირს, ზოგი—დარვინს. ასეა ამბავი აქაური, ამ კუთხის, მღვდლებს იმედი ჭონდა წელს საკურთხის.— მაგრამ ჩაუფარდათ კოფში ნაცარში, ფოფოლია კი წააფრინდა ფაფარში და პუტავს, როგორც წიწილი მე კი ვერ ვიკავებ სიცილს.

მ. თბოლია

# გლეხი ციხესთან

# მისი სახე

გლეხი ვირებს მიდენიდა,  
 მოქნარებით და ზმორებითა;  
 ციხის გვერდზე ჩაიარა  
 ნახშირიან ტომარებითა.  
 ფიქრობს:—ჩქარა დაღამდება,  
 ამერევა გზა და ხიდი...  
 „ნახშირ უგლი... ნახშირ უგლი...  
 აბა, ეფად გახაყიდი!“...  
 — გამარჯობა შენი ღეჭხო!  
 კიდევ დარჩი ეგრე გლახა?!  
 რკინით შეკრულ ციხის ფანჯრით  
 პატიმარმა გადმოსაჩაბა:—  
 შე რამდენჯერ შენთვის მოთქვამს  
 აწ ხხვისათვის მოიცალე!  
 მართლა ვირო, ვირის ღვენა  
 ჯერ კიდევ ვერ მოიშალე?  
 გლეხმა ზეფით აიხედა,  
 თვალი მოჰკრა კაცს მღვდომარეს,—  
 და მყის იცნო გამფლანგველი  
 აღმასკომის თავმჯდომარე...  
 — კოწია ხარ?.. ვერ გიცანი,  
 გამარჯობა შენი კაცო,  
 რაც ბულბული ბრძანებულხარ,  
 ისეთი გაქვს გალიაცო!..



ჩვეულებრივი თვალით გადიდებული ვაზით

გუჟი

## ნეტავი მართლა კორესპონდენტი ვიყო

ალბულაღი

დეილოცა იმის ენა და პირი, ვინც მე კორესპონდენტობის სახელი დამიგდო. არასოდეს კორესპონდენტი არ ვყოფილვარ.

წერილების წერა კი არა, ჩემი ცოლისათვის თრი ღერი სიტყვა ვერ დამიჯღაბნია.

ჯერ იყო და გადამივიდა აღმასკომის თავმჯდომარე გრიშა კაზაროვი:—შენ თურმე ჩემს შესახებ რაღაცა და გიწერია, ფრთხილად, თორემ აქედან აგბარავ.

ვუფიცე, უნაბდე—მე არაფერი დამიწერია მეთქი; ლექსის წერის შრო ვინ მომიცა, მაგრამ არ იქნა ვერ დავაჯერე, დაღონებული მივიჩქარი სახლისკენ.

გზაში შემომეფეთა პარტიკომის მდივანი — კაზაროვი მარტირისი. შემომიბღვირა და მითხრა: შენ წერილების წერას თავი დანებე, თორემ ისეთ ხრიკებს გამოგიგონებთ, რომ პანლურის კვრით ვაგადგებთ აქედან!

თავზე მეხვივით დამეცა ეს სიტყვები.

— კაცო, რის წერილი! რა წერილი? რა გინდათ ჩემთან?

— მე ვიცი რაც მინდა!—ჩაილაპარაკა და გამშორდა.

დავიბენი ბატივით. რაღა მექნა აღარ ვიცოდი. ვაფიხედ და გამომძიებელი ნოზაძე ელაპარაკება სამე ცაგურისას:

— კაცო, იმის დამწერი თუ ჩამივარდა ხელში, მე ვიცი ვერე!

დამინახა, შემომხედა და თანაც შემომიბღვირა. მე შიშისაგან გარეტიანებულმა, გზა განვაგრძე.

ვნახოთ, რაისკოლების გამეცა ხელში უჭირავს „ტარტაროზი“ და გაცეცხლებული ჩემსკენ მორბის.

— როგორ, ეს თქვენე ხელობაა, ვაჟბატონო? ამისთვის მე თქვენ ვიჩვენებთ სეირს!

ვნახოთ: ერთ დღეს მოგრიადლა ავტო.

— მუშგლეხინის კომისია.—გასამა აღბულაღში და დიდი ხნის დამყაყებულ აღმოსფერა შეირყა. მოუსვენს რკინის ცოცხი: ზოგი გამსახლში გააგზავნეს, ზოგი ტვილისში. გააწმინდა მიდამო.

დავდივარ ქუჩაში, რაღაც არაჩვეულებრივ თანაგრძნობას ვხედავ ყველასაგან. ყველანი მილიმებენ, მიცინიან, მელაღროსებიან.

შევდივარ აღმასკომში:

— მობრძანდით, დაბრძანდით! რას ინებებთ? როგორ არის საქმე?

შევდივარ რაიკომში. მეკითხებიან სხვადასხვა საკითხობრტო საკითხებზე.

მივუახლოვდი სკოლას, რევოლვერების სროლა შემოემესმა. სკოლის შენობის წინ არიან: მილიციის უფროსი ხაჭაპურიძე, პოლიკარპე ძიძიგური და გრიშა ავაქოვი. სამთავეს ხელში უჭირავთ მიშველი რევოლვერები და შედიხედ სროლილობენ. გეგონებთ—სკოლას მტერი შემოსევათ. დამინახეს, რევოლვერები დამალეს, ცხენები დააბეს და მომესალმენ მეგობრულად.

— ახ! ვინ მობრძანებულა,—დაიძახა მასწავლებელმა ქალომა და დაერია დასაქერათ სკოლაში გაშვებულ თხებს, ცხვრებს და გოჭებს.

ავრინდა ერთი ქათამი და ფანჯარას დაეჯახა. ეწყინა ეს ძიძიგურს: როგორ თუ ვაბედა ქათამმა თავხედობა ასეთ პატივცემულ სტუმართან!—და ნაგანი შიგ თავში დაახალა ქათამს. მას არ ჩამორჩა ავაქოვიც და ბატყანს შიგ ღუმელში დაარტყა.

გზაზე, სირბილში ფეხსაცმელები დამხეოდა. მივუტანე კოლექტივში დასაკერებლად.

— რას გვიბრძანებთ? მობრძანდით!—მომამახა ხელოსანმა.—არა გეცალიან, მაგრამ თქვენთვის ამ წუთშივე იქნება. თუმცა „ტარტაროზში“ ვაგვიშვი, მაგრამ არა უშავს რა, მაინც კარგად ვაგაკეთებ.

მომმივიდა. სასადილოში შევედი.

— არ არის პური, მეგობარო, თორემ პური საქმელადა და მოგცემდით!—ეუბნებოდენ მუშტარს.

— უბურობაა.—ჩავილაპარაკე და უკან გამოვბრუნდი. ვნახოთ კარებში მომეწია სასადილოს გამეცე და მომბრუნა:—მობრძანდით. თქვენთვის პური კი არა, ჩიტის რძეც არის.

— ვისადილე. მივიდივარ.

გზაზე შემხედა რაიკომის მდივანი და მეუბნება:—თქვენ მოწვეული ხართ პლენუმზე, სადაც გვესაუბრებით კორესპონდენტის როლის შესახებ სოციალიზმის მშენებლობაში.

— ვიახლებით.—იყო ჩემგან პასუხი.

თავი სერიოზულად მიჭირავს. ყველას კორესპონდენტი ვგონივარ, ტკბილი სიტყვა, თავაზიანობა, მეგობრობა, ამხანაგობა, პატივისცემა, დაპატივება. მოდი და ამის, შემიღვე ნუ დალოცავ მის გარეხას, ვინც მე კორესპონდენტობის სახელი დამიგდო!

უსინდისო.



აღმასკომში მსახურობდა  
თითქმის სამი წელიწადი.  
მიწა დროზე შეიყიდა,  
რომ ჰქონოდა ბლომად მჭადი.

საქმე უკვე გამოირკვა.  
ვფიქრობთ არც ვინ აპატიებს.  
ბანკში ვინღა გაიყვანა  
რომ მუსრს ავლებს კოლექტივებს.

2.

უღროდ დროს დავაქვაცლა,  
იკბინება როგორც გველი.  
კომკავშირის წარმოდგენის  
თანხის შემყლაპ - გამფლანგველი.  
მადლა მადლა იყურება,  
გაყოყორდა, ვაიბერა;  
რა საქმეა სხვას სცოდნოდეს,  
კაცი ფილიდი გაიძვერა.

3.

„გულკეთილი“ კაცი არის,  
უფრო მეტი საქმის ღირსი,  
თუ სხვას სდევნის, მაგიერში  
ებრალება ძმა და თვისი.

ძმა მოაწყო სამსახურში,  
მასთან სიძვეც მისი ილო,  
აშენდება მამ რას იზამს  
აწი „ეპოს“ სასადილოა.

4.

ამას წინედ ჩხუბს შევესწარ  
ძლივ ძლიობით გააშორეს.  
ვერ გავიგე რას ერიოდენ  
„პატიოსან“ ისილორეს  
არის კაცი სხვა თემისა  
უნეში და ანუ ყბელი.  
ქუჩამ უნდა გადასწყვიტოს,  
მისი სვე და მისი ბელი?!

უკუღმართი.



— ოო, ჩემო ნიკიფორე; მადლობა ღმერთს, რომ  
ერთმანეთს შევხვდით... როგორ ხარ?... როგორ ცხოვრობ?  
— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ... მე თქვენ ვერ ვიცნობთ!  
— ჰო, მართლა, ვერც მე ვიცნობთ... სრულებით არ  
შვადხართ ნიკიფორეს!

## მოხარებაჟღერს მოხარებას

— არა, ეს ოხერი ქვეყანა უკუღმა  
ტრიალებს. თუ შნო და მოხერხება  
გაქვს, შენს ბედს ჩვენი დიმიტრის  
გრძელ-ყურებიანი ძაღლიც არ დაპყ-  
ყეფს. იცხოვრე არხინად და განცხ-  
რომიით. უეჭველად პარტიული უნდა  
გაეხდე, მორჩა და გათავდა!—მტკიცე  
გადაწყვეტილებით წარმოსთქვა პავ-  
ლე ხერვლაძემ.

მართლაც დიდხანს არ გაუგლია,  
რომ პავლე ადგილობრივ კომუნჯრე-  
დოს ღიი კრების წინაშე წარსდგა.

— რა მიზნით შედიხართ პარტია-  
ში, ამხ. პავლე?

— ღმერთი ხომ არა გწამთ?—აქ-  
ლეველენ შეკითხვებს პავლეს.

— ვაი, დასწყველოს ღმერთმა ეშ-  
მაკი და კუდიანი, ცეცხლი წაეკიდოს  
მღვდლებსა და მის ანაფორმას, რაც  
მე ის არ მწამდეს. მე მსურს მხოლოდ  
თქვენთან მუშაობა, პარტიის წევრო-  
ბა...

პავლე იიღეს პარტიის კანდიდა-  
ტად.

პირველ ხანებში პავლე ბეჯითად  
მუშაობდა პარტიის რიგებში, ასრუ-

ლებდა დავალებებს და თითქმის სი-  
სტემატიურად ესწრებოდა კრებებს.  
გაიარა ხანში.

პავლე პარტიის წევრად გადარიც-  
ხვასთან ერთად დააწინაურეს და და-  
ნიშნეს ადგილობრივ კოლმერატივის  
გამგის თანამდებობაზე.

— ახლა კი ავშენდი კაცი, უკვე  
მივალწიე მიზანს; რა ვინდა სულო  
და გულო, ყველაფერი ჩემ ხელშია,  
ქვეყანა მე შემომნატრის.—ფიქრობ-  
და პავლე.

პავლეს სახელი მალე მოედო მთელ  
სოფელს. თემს, თუმცა პავლე აღარც  
ისე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ბევრი  
გასათხოვარი ნატრობდა მის ცოლო-  
ბას.

ბოლოს, პავლემ მაჭანკალი გაუგ-  
ზაგა იმავე სოფელში მცხოვრებ კუ-  
ლაკ ივანეს 18 წლის ქალიშვილს—  
მაროს.

— ჩემო პავლე. შენს სიძეობაზე  
უარს არ ვიტყვი, მაგრამ თუ ჯგარი  
ეკლესიაში არ დაიწერეთ, ისე არ შე-  
მიძლია ქალი მოგათხოვო!—განუტხა-  
და სასიამაორომ პავლეს.

— ეკლესიაში ჯვრის დაწერაზე

არც მე ვიტყვი უარს, მაგრამ... რომ  
გამიგონ! არა და, რა ვქნა. კარგი ქა-  
ლია, კარგი მოყვარე შემეძინება!—  
ფიქრობდა თავისთვის პავლე.

ნაშუადღევს პირველი საათი იყო,  
პავლე და მარო ხელიხელთ გაყრი-  
ლი ჯგვარს იწვოდენ მეორე სოფლის  
ეკლესიაში.

ეს ამბავი „შემთხვევით გამოეპარა“  
პარტიულ ორგანიზაციის იმ წევრებს,  
რომლებმაც მთელი კვირა იქიფდეს  
პავლეს ქორწილში კულაკ ივანეს სა-  
ხლში.

გავიდა ხანი.  
პავლეს შეეძინა მეშვიდე ვაჟი.

— ამის მოუნათლავად დატოვება  
შეუძლებელია წაწყმედაა, ნამდვი-  
ლი წაწყმენდა. სამწუხაროდ, ჩვეის  
ოჯახში ეს არ მოხერხდება... უნდა  
მოვაწყოთ პორფილესას, შენ ბიძას-  
თან, უპარტიო კაცია და ვერავინ ვე-  
რაფერს გაიგებს.

ესეც მოხდა.

მხოლოდ ამის შემდეგ ეხლახან ის  
მოხდა, რომ პავლეს პარტიული ჩა-  
მოართვეს და სამუდამოდ დამოსტუ-  
მრეს პარტიიდან. **ღურმისხანი.**





# საბჭოთა კავშირი

1922 წ. სავაჭრო ხელშეკრულების დადება იტალიასთან.

მართალია, ოფიციალურ კალენდარში ნათქვამი არ არის, თუ ვის მიერ დაიდო ეს ხელშეკრულება იტალიასთან, მაგრამ ფაქტობრივად ამით მაინც დიდი არაფერი ცვლდება საქმის ფორმალურ მდგომარეობაში, თუ ჩვენ თვითონ ჩავურთავთ ტექსტში უკანასკნელი სიტყვის წინ, რომ ხელშეკრულება დადებული იქნა „საბჭოთა ხელისუფლების მიერ“, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბევრ სახელმწიფოსთან და მათ შორის იტალიასთანაც დადებული სავაჭრო ხელშეკრულება ნიშნავს პროლეტარულ და ბურჟუაზიულ მსოფლიოთა შორის ერთნაირ მშვიდობიან დროებით თანამშრომლობას, თუ ამ თანამშრომლობას ბუნებრივად თან მისდევს ერთნაირი ურთიერთი სარგებლიანობა. ეს განსაკუთრებით ხელისუფლების მიერ ბურჟუაზიულ სამყაროს წინაშე, თუ გნებავთ, ერთნაირი დროებითი დათმობა.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა კაპიტალიზმის მტაცებელმა სახელმწიფომ (მაგ., ინგლისმა) სიტყვას — „ხელშეკრულება“ — მისცა მეტისმეტად ტონაქი გაგება, როცა მიიჩნია საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლებისათვის არა მარტო ხელშეკრულების, არამედ ფუნქციონირების შეკრაც, რაც, თავისთავად ცხადია, არც ერთი სავაჭრო ხელშეკრულებით არ შეიძლება იქნას წინასწარ ნაგულისხმევი.

1896 წ. მოხდა კატასტროფა ხოლმისკაზე. ეს განსაკუთრებით უკანასკნელი მეფის, ნიკოლოზ ტინთხელაძის გვირგვინის კურთხევის დღეს მომხდარი უბედური შემთხვევაა. რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა კუთხიდან მოწვეულ იქნა ხალხი მეფის გვირგვინის კურთხევის ბრწყინვალე შემთხვევაზე დასასწრებლად. ამ ხალხისთვის, რომელიც მილიონობით მოგროვდა ამ დღისთვის, სახელდახელოდ გაკეთებულ იქნა რამდენიმე სართულიანი ხის კარავი. მაგრამ ეს კარავები ისე ცუდად და დაუდევრად იყო გაკეთებული, რომ ზედ შემდგარი ხალხის სიმძიმე ვერ აიტანა, ჩახკდა და აუარებელი ხალხი იმსხვერპლა. ამ რიგით აღნიშნულ წელს ხოლმისკაზე მოხდა სამი უბედურება:

პირველი და უდიდესი უბედურება იყო თვითონ ნიკოლოზის გვირგვინის კურთხევა; მეორე — ის, რომ ამ შემთხვევამ ასე იმსხვერპლა ამდენი უდანაშაულო ადამიანი; ხოლო მესამე და უკანასკნელი უბედურება, თუ გნებავთ, იყო ის, რომ ხალხის ამ საბედისწერო კარავების აგებით ვერაფერი მოიჯარადრებინა თუ ინჟინერთა ვიბეში, ალბათ, აუარებელი მოგება ჩალოვდა იმავე ხალხის ქონებისაგან.

1924 წ. ჩინეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა.


რა თქმა უნდა, ამ ცნობით გაბედნიერებულ საბჭოთა კავშირს მადლობის მეტი, აბა, რაღა ეთქმის ჩინეთის მიმართ, რაც დრო გადის, საბჭოთა კავშირის მცნობელი არა თუ არ აკლდება, ემატება კიდევ; რადგან ემატება თვით საბჭოთა კავშირს, იგი თანდათან უფრო მტკიცდება, წინ იწევს და ძლიერდება.

ქება და დიდება ჩინეთს, რომელმაც ეს პროცესი დროზე შეინიშნა და ბევრ სხვა უფრო მოწინავე ქვეყანას დაასწრო. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს იყო ერთნაირი სამაგიეროს გადახდის მსგავსი რამ იმის საპასუხოდ, რომ თავის მხრით საბჭოთა რუსეთსაც ნაცნობი ჰყავდა ჩინეთი, რომლის ცნობაც იმ დროებაში ასე თუ ისე, მართლაც შეიძლება.

სამწუხაროდ, თავისი ვერაფერი გენერლების გადამკიდე ჩინეთი დღეს უკვე აღარ წარმოადგენს ვერ-ჯერობით ისეთ რამეს, რომლის

მაისი 29

ოთხშაბათი



მაისი 30

ხუთშაბათი



მაისი 31

პარასკევი



ინგლისი 1  
შაბათი



ცნობაც შემცდარ-შეუფერხებლად რამდენიმე მაინც იყვებ შესაძლებელი.

პირველი დღე, როცა უკვე აღარ არის მაისი ანუ თბათვის პირველი დღე.

თიბვა ნიშნავს მოკვებას, მოკრას, რაც პოლიტიკურ ენაზე უდრის დაახლოებით პარტიიდან გარიცხვას, ანუ გაწმენდას.

ამიტომ სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, როცა საკავშირო კომუნისტური პარტია სწორედ ამ თვეში იწყებს თავისი რიგების გენერალურ წმენდას.

ინგლისი 2  
კვირა




1881 წ. გლეხების დიდი აჯანყება ინგლისში.

ინგლისი უმთავრესად ზღვის ქვეყანაა, ამიტომ სრულიად ბუნებრივია იქ ყოველგვარი, მათ შორის გლეხთა აჯანყება და აჯანყების დაწყება თუ არსებობდა ძველთაგანვე.

მაგრამ არ მოიპოვებდა არც ერთი სმელეთიც დედამიწის თითქმის არც ერთ კუთხეში, სადაც ინგლისს თვითონ არ შემქონდეს ეს აჯანყება და მოუსვენრობის შესამაინი ბაცოლა და არ იწყებდეს იქ ადგილობრივ მცხოვრებთა სიჯანსაღის განრწმუნება და დაავადებას.

სამაგიეროთ, თვითონ ინგლისი, ამ ნაღრვეი გლეხთა აჯანყის გამო, ახლა უკვე შეპურობილია ერთნაირი „ზღვის ავადმყოფობით“, რომლისგანაც მისი საუკუნოდ განთავისუფლება მხოლოდ ისევე აჯანყებულ მუშებს-და შეუძლია.

ინგლისი 3  
ორშაბათი



1814 წ. დაიბადა ბაკუნინი.

ცნობილი ანარქისტი და რევოლუციონერი, ბაკუნინი დაიბადა რუსეთში, მაგრამ მოღვაწეობდა უმთავრესად დასავლეთ ევროპაში. იგი შეუროგებელი მტერი იყო მონარქიზმისა და ძველი არისტოკრატიული-პლუტოკრატიული მთავრობებისა, რომელთაგან არა ერთს „უტირა ყოფა“.

რატომღაც არც პირველ ინტერნაციონალს სწყალობდა ბაკუნინი და როგორც ისტორიული ვიცით, მარქსსაც დიდხანს უბაკუნებდა ფეხებს, თუმცა დიდი რა უნდა დაეკლო ანარქიზმის ამ აფთარს სოციალიზმის სწორ-უპოვარი ლომისათვის?

ინგლისი 4  
სამშაბათი




1905 წ. კავკასიაში დაწესდა პოლიციის გამგის თანამდებობა.

რუსეთის თვითმპყრობელი მეფის მთავრობა რომ ყოველად უტვიწნო და უტიფარო იყო, ამას დღეს აღარავისათვის მტკიცება არ ესაჭიროება. მაგრამ ზევით აღნიშნულ სიუტიფრე ამ მთავრობისა, მაინც გასაოცარია რუსეთის ორას მილიონიანი ხალხი რევოლუციის იყო ჩაბმული. იგი ქვეყნის ძირითად გარდაქმნას ლამობდა, ხოლო მეფის უხეში მთავრობა კი ლაფში ჩაწოლილი კამეჩივით არხენად იცოხნებოდა. ასეთი ყოველად უტვიწნო რევოლუციებით, როგორცაა პოლიციის გამგის დანიშვნა, იმ დროს თითქმის ყველაზე უფრო რევოლუციონურ მხარეში, კავკასიაში.

აკი პოლიციის ასეთი მეთაურის, გენერალ-ლეიტენანტის აფეთქებით უპასუხა ამაზე თბილისელმა მუშა-რევოლუციონერმა, არხენ ჯორჯიაშვილმა.

მავირა



მოწაფე გარტყმამდე

მეტრეველის გარტყმის შემდეგ

აბრამიშვილის გარტყმის შემდეგ

### მოხსენება ჭიათურიდან

მივიღე თქვენი ფიცხელი განკარგულება და შეუდეგი ჩემდამი რწმუნებულ რაიონის დათვლიერებას. მაუხედავად კოკისპირული წვიმისა, გაუუდეგი გზას. წვიმამ თანდათან იმატა და იძულებული გავხდი საღმე შემეფარებინა თავი.

შევხედე ლადიას, რომელიც გულხელ დაკრეფილი იდგა მისი დუქნის წინ და დაღვრემილი შესტყეოდა უშველებელ ლუქს, რომელიც მისა დუქნის კარებზე იყო ჩამოკიდებული. მივედი, მიუსამძიმრე და შევეყვითო მუსაიფს.

შემოგვემატა ერთი მოქალაქე, დამზღვევ სალაროს პენსიონერი, რომლის დალონებულმა სახემ ჩემი ყურადღება მიიპყრო და ვკითხე მიზეზი დალონებისა. ჩემს შეკითხვაზე, უცნობა გული აუჩუყდა და ცრემლ-მორეულმა მითხრა: „ჩემი საპენსიო დოკუმენტები წყალს დაუღებია დამზღვევ სალაროში და აღარ ვიცი რითი მივიღო პენსია!“-ო.

უცნობის დაღვრემილმა სახემ და ტირილმა კეკალი გული მომიჯეჯვა და ვადავწყვიტე რიგს გარეშე დამეთვლიერებინა დამზღვევი სალარო. მსწრაფლ მივატოვე ჩემი მოსაუბრენი და გავსწიე დამზღვევ სალაროსაცენ. მივიღე ამ წვიმაში და გზაში ვფიქრობ: რა უნდა დამზღვევ სალაროს საბუთებთან წყალს! ალბათ წყალსადენის მილი თუ გასქდა და იმან წალეკა დაწესებულება თქვა, მარა უცებ გამახსენდა, რომ ჩვენი ქალაქის წაღსადენი მხოლოდ დამით იძლევა წყალს და შემოხსენებული ამბავი კი მომხდარა დღისით. ახლა უფრო მეტად დავინტერესდით და ელვის სისწრაფით მივევარდი სალაროს კარებს! მინდა შევალ კარები, მარა ფორტეპიანოს ხმა შემომესმა და შევიჩერდი. ვიფიქრე, —ნამდვილათ გზა ამერიდა, თვარა დამზღვევ სალაროში

ფორტეპიანოს რა უნდა თქვა! ის იყო ვბრუნდებოდით უკან, რომ ამ დროს კარები გამოაღო და გამოვიდა გარეთ პატივცემული ექიმი ლევან არუთიანოვი, რომელიც სრულიად დასველებული იყო და თავიდან ფეხებამდე წურწურით გასდიოდა წყალი! გაჯავრებულმა ჩააქნია ხელი და ჩაილაპარაკა:

„ვა, ეს რას მოვესწარი, ყაცო! სტრახკასა, თუ ატლანტიჩესკი ოკეანეო! ასე ხომ დაცივდებაან მთელი „სლუჟაშნიბი“ და საკამისთ გახდებიანო!“.

ესა სიტყვა და წავიდა. მე ვიფიქრე: რაღაი სალაროს ექიმი გამოვიდა ამ კარიდან, ალბათ ესაა სწორედ ეს სტრახკასა, რომელსაც მე ვეძებ თქვა და შევალე კარები.

შევედი, მარა მისთანა ფორტეპიანო დევინახა ჩემმა მტერმა, მე იქანა დევინახე!... ყოველ კედრით ჩამოდას დაწესებულებაში წვიმა! დოუკაპიწეზიათ თანამშრომლებს და შეუღებამთ: ზოგან ტაშტი, ზოგან ჭიქა, ზოგან სამელნი, ზოგან საფერფლე და ზოგან საფურთხებელი! ავი წვიმა რომ ეცემა: ტაშტზე, ჭიქაში, სამელნიში, საფურთხებელში და საფერფლეზე, ისეთი აწყობილი ხმა მოისმის, რომ გარედან მე ფორტეპიანო მეგონა!

წავიწიე ცოტა წინ და ერთ კუთხეში, მაგიდის ქვეშ დავინახე გაწუწული და სიცივით აკანკალებული კატუშა, რომელიც აბუზული წიწილასავით ყვლიპავდა თვალებს! მეორე კუთხეში კი ჩამჯდარიყო: ჩუმი და წყნარი ნინა ნესტოროვა, რომელსაც წვიმის თავიდან ასაცილებლად ჩამოეხურა თავზე „უნდერვულის“ მანქანის ფუტლიარი და ერთობ მოწყენილი იყურებოდა!

რაა, ეს ქალიშვილები რომ მიმალულან ამ კუთხეებში თქვა, შევეკითხე გრივოლს.

„დღეს სამი წუთით დეიგვიანეს საშხურში და სირცხვილით გარეთ თავი ვერ გამოუყვით!“-ო.


ამ დროს წააღმა იმატა, გამომიშალა ფეხები და ტყალაბანი მოვადინე წყალში! შეშინებულმა დავიწყე ცურვა და ვეძებ გასაეღ ფონს. დავინახე, ვინცა შემძვრალა კაფედრაში და ლობეში გაკვებულ კატასავით ჭყიტავს თვალებს! დამიქნია ხელი უცნობმა და მომაძახა: „აქეთ მობრძანდი, ამხანაგო, ამ კაფედრაში წყალი არ ჩამოვა და სხვამ კისერი იტეხოს“-ო. მოგხსენებათ სიცოცხლე ყველას უნდა და მეც თავის გადაარჩენის მიზნით გავეშურე უცნობისაკენ. შევეკითხე: გვარი და სახელი და აღმოჩნდა მიხეილ ლაბაძე, ამ დაწესებულების ზუღალტერი, რომელსაც იმდენი გამბედაობა კიდევ შერჩენოდა, რომ ამ წარღვნაში კაფედრის ქვეშ ვადაეშალა დაეთარი და სანგარიში ჩოთქის კაკლებს ძლიერად არაჩხუნებდა! მადლობა გადაუხადე ასეთი ერთგული სამსახურისათვის, გამოგემშვიდობე და დავეშვი თვედაღმა.

ვაგონის მტერითავ მუშების სადგილკომოსთან რომ მოვედი, რააც ხმაურობა და აურ-ხაური შემომესმა! ვკითხე: რაშია საქმე თქვა და მითხრეს, რომ ადგილკომოს თავმჯდომარემ ყბების მსაჯი გაუყეთა ერთ ახალ გაზრდა კომკავშირელს. მაგრამ... ამაზე მერე.

ვკვია:

**ხელის მომწერი (დამტარებელს):** — ერთი კვირაა გაზეთი გამოვიწერე და თქვენ ჯერ ერთი ცალიც არ მოგიტანიათ.

**დამტარებელი:** — დაილევა ეს თვე და ყველა ნდმრებს ერთად მღვიტან.



# ქ ლ ლ ნ ღ ა ს ...

— ამიბსენით, თუ ძმა ხარ, რატომ ხარ შენ უღმერთო?— შეეკითხა მიხა ვანოს.

— იმიტომ, რომ უღმერთოთა კავშირის წევრი ვარ.

— მეტი არაფერი?

— მეტი რა გინდა, კაცო?

— ხო, მაშინ მე მომღერალი ვყოფილვარ, ან მოცეკვავე!

— ხა-ხა-ხა-ხა, შენი სიმღერა ვის გაუგონია, ან ცეკვის თავი სად გაქვს, ძლივს დაათრევ ფეხებს.

— რატომ, კაცო, შენ თუ უღმერთო ხარ მიტომ, რომ უღმერთოთა კავშირის წევრი ხარ, მე ხომ კიდევ ხელოვნების კავშირის წევრი ვარ და რატომ არ უნდა ვიყო მომღერალი?

— არა, კაცო, საქმე მაგაში კი არ არის.

— აბა რაშია?

— საქმე იმაშია, რომ ღმერთი არ მრწამს, ეკლესიაში არ დავდივარ, ღვთობებს არ ვმართავ და სხვა.

— ღვთობებს როგორ არ მართავ, ძალიან დიდი ქვეფი იყო შენთან, ყმაწვილო, თამარობას?

— მართალია, იყო, მაგრამ ამ დღემ ჩემი ცოლის ღვთობა იყო და არა ღმერთის. მე კი შენ ქრისტიანულ ღვთობებს მოგახსენებ: „აღდგომისზე“, „შობაზე“ და სხვა.

— მაშ მეც შემიძლია გავხდე უღმერთოთა კავშირის წევრი არა?

— რატომაც არა შეგიძლიან და კიდევაც ჩაეწერე უღმერთოთა კავშირში.

— კი, მაგრამ საწევრო გადასახადს იხდი ამ კავშირში?

— ვინღი ცოტას.

— მაინც რამდენს?

— სულ ცოტას— ერთ მანეთს წელიწადში.

— ხო, იაფი ყოფილა უღმერთოთა წევრობა, ეგ სჯობნებია სხვა კავშირებს.

— უსათუოთ სჯობია. აქ უფრო ცოტა გადასახადია საწევრო.

— ხო, ამ საწევროზე გამახსენდა, მითხარი, თუ ძმა ხარ, რამდენს იხდი შენ სულ საწევროს თვეში?

— მაგის თქმა რომ შემეძლოს, მაშინ ყოველ ჯამაგირის მიღების დროს ხომ აღარ მექნება ცოლთან ჩხუბი.

— ცოლი რა შუაშია, კაცო— ისიც ოჯახის წევრობისათვის ფულს გახდევინებს თუ?

— არა კაცო, იმან იცის, რამდენი მაქვს თვეში ჯამაგირი, მაგრამ არ იცის, რამდენი მეძლევა ხელზე. ატეხავს ერთ ალიაქოთს, ყვირის:— შენ ჯამაგირს რესტორანებში ხარჯავ, ვილაღ-ვილაღ ქალებსაც პატიუბ აქეთ-იქითო.

— ასე, რომ ზოგი ჭირი მარგებელი ყოფილა!

— შენ რომელ ჭირზე ლაპარაკობ?

— რაზე და... პარტიიდან რომ „გაგჩისტავენ“, საწევრო თანხებიც შეგიმცირდება და ცოლიც ასე ხშირად აღარ წაგჩხუბებს!

— მაშინ სულ არ შემიშვებს სან-ლში და გარედ გამაღმადებს.

ძველი

— დაწესებულება - წარმოებების უტეროსებმა დაადგინეს: 1. თავაზიანად მოეპყრან მოქალაქეებს და აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებს, რომელთა რიცხვში შედიან შიკრიკები და დამლაგებლებიც.

2. მემანქანეს და სხვა ლამაზ თანამშრომელ ქალებს არ გაეკარონ.

3. ჩაიცვან უბრალოდ და სადათ.

4. შესწყვიტონ ყოველგვარი მივლინებები და ზედმეტი საათების გასამრჯელოს მიღება.

ეს დადგენილება ძალაში შევიდა დღიდან მსუბუქი კავალერიის შეტევისა. დადგენილება გაუქმებულ იქნება კავალერიის მუშაობის შეწყვეტას შემდეგ და საქმე ისევ წავა ჩვეულებრივი მიმდინარეობით.

— კოლექტივის წითელ სასაღმლოში გამგესა და მსახურთ შორის მომხდარმა ჩხუბმა იმსხვირპლა რამდენიმე ბოთლი და სანინი.

— დამზღვევ სალოარომ თავის შენობაში მოაწყო წვიმის ვანები. ამიტომ არ აპირებენ შენობისათვის გაცვეთილ სახურავის გამოცვლას, და მიზეზად ასახელებენ, რომ „ავდარში შეუძლებელია სახურავის გამოცვლა, ხოლო კარგ დარში— წვიმაც აღარ ჩამდისო!“.

(შავი).

## ღიღი ჯიხაიში

— წითელ სასაღმლოში გამრავლდა ისპანიური ჯიშის ვირთხები, რომლებსაც ნაგანის რევოლუციით ოპი გამოუტყდა საკრედიტო ამზ-ბის თავმჯდომარემ.

ხვლიკი:

## ჭუთაისი

— მუშკოთობმა გადაჰყარა 150 ფუთი ნედლი ზუთხი, რომელიც ერმილემ შეისყიდა აზერბეიჯანში მთვრალ ერმილეს ჩამოსძინებოდა და მბალ თევზებში და ისიც კინაღამ ზედ მიაყოლეს. (რა ეშველებოდა მაშინ მუშკოთობს! ვინ-ლა გააძრობდეს ტყავს მივლინებებით?).

ხლოპუშკა.

## სენაკი

— ამას წინდ მოხდა სისსლისმღვრელი შეტაკება სანიტ-კომისისასა და ადგილობრივ ძალებს შორის. გაიმაჩვენა სანიტ-კომისიამ მურზას მეთაურობით. მოჰკლეს რამდენიმე ძალო.

— ვაცო ეს კატლეტი როგორ შარშანწინდელივით გაჩხარა?

— სცდებით. შარშანწინდელი კა არა, გუშინწინდელია.



## უპუღმართი ლოლიკა

მართალია, ამ შემთხვევაში ჩვენ ცონკრეტულ მაგალითზე მივუთითებთ, მაგრამ ასეთი ამბები თითქოს ყველგან ხდება.

ანაგაში (კახეთის მაზრა) არის საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც დახმარებას უნდა უწევდეს ღარიბ გლეხობას მიწურნებაში.

მაგრამ ამხანაგობის მესვეურთ სხვა გვარად ესმის ეს საქმე და ღარიბ გლეხებს ხშირად ისტუმრებენ ასეთი პასუხით:

— შენ სესხი როგორ უნდა მოგცე, როცა ღარიბი ხარ, — ეგებ გადახდა ვერ შესძლო. ვააშენე ხალი, და როცა გარანტია გვექნება, მაშინ მოგცემთ!

ამავე დროს კი კულაკები და შეძლებული გლეხები, რომლებსაც აქვთ ხალი და ძლიერი მიწურნება, დუბულობენ სესხს, რადგან მათ „გარანტია“ აქვთ.

(ისრელი)



ასეთია ამხანაგობის მესვეურთა ლოლიკა. ის კი არ იციან, რომ—თუ სესხის სახით დახმარება არ აღმოუჩნდათ, ღარიბი გლეხები ვერ გააშენებენ ხალეებს.

აქ საჭიროა: ან საკრედიტო ამხანაგობის მესვეურთა ლოლიკის გამოცვლა, ანდა თვითონ მათი გაშორება. (ჩვენის აზრით საქმისათვის უკანასკნელი საშუალება აჯობებს!).

## „მიზანი ამართლებს საშუალებას“

ასე გაუგონიარო (ეგებ კიდევ წაუკითხავთ როგორც „სოციალისტებს“) ხაშურის სადგურის უფროსს და ძირუღელი ერმანოვ ებანოიძეს.

ეს ორი გმირი ერთად იმეტომ მოხვდა, რომ ორივე ერთი ჯურისაა.

პირველს მიზნად ჰქონდა დასახული — რაც არ უნდა მომხდარიყო — ჩამოვადარიყო სადგურის უფროსის საგარემოში.

ამ მიზნით მან შეთხზა თავისთავზე რევოლუციონური ზღაპარი 1001 სიტყვიდან, გაძვრა — გამოძვრა თავისუფლად და ერთ მშვენიერ დღეს (ასე იტყვიან ყოველთვის ასეთ შემთხვევაში), პარტიული ჯიბეში ჩაიკლა.

ამით ფარდა გადაეფარა მის საეტკო და ლაქიან წარსულს.

კიდევ ერთი ნახტომი და უკვე წამოიჭრა ხაშურის სადგურში უფროსის კაბინეტის საგარემოში. წაიოქიმა და ლოლინებს:

პარტიული მისთვის მინდა— გზა მიკაფოს სამსახურში და არავის ჩააწვითოს ჩემი ძველი საქმე ყურში.

(მტკვრისპირელი).

მართალია, „ტარტაროზი“—ა ამ ნომრის შემდეგ აღარ იქნება ლილინის ხალხათზე, მაგრამ იმდროს რაც ამდებანს ილილინა.

== ==

ერმანოვ ებანოიძესთან უკაცრავად ვართ, რომ ჩვენი ყურადღება პირველად მას ვერ მივაპყარით, მაგრამ არ იფიქროს — დაგვაიწყდა.

მისი ბიოგრაფიიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ:

განა, ძმებო, არ იციოთ— რა დრო ჰქონდა წინათა? ნიკოლოზის მთავრობის იყო თვალის ჩინათა.

(ძირუღელი თაღა)

მენშევიკების დროს აქტიური მენშევიკია. გვარდიაში დიდი თანამდებობის კაცია და ბოლშევიკებს „ღირსეულად უმსაძინძლდება“ (მისი სიტყვებია).

გასაბჭოების პირველ ხანებში ყურები ჩამოჰყარა — ვაი თუ გაიგონ ჩემი ცოდვებო.

მაგრამ შემდეგ ხდება სასწაული და, როგორც ძველ რევოლუციონერს, დამსახურებულს, მაზრკომის განათლების განყოფილება უნიზნაგა პენსიას.

ამბობენ: ვილაც მფარველი ჰყავს, თორემ კაცი, როგორც საეჭვო პიროვნება, სამსახურიდან მოხსნეს და... პენსია კი დაუნაშნესო.

რომც არ ამბობდენ, ეს ალბად ასე არის. მაგრამ ამერიიდან ეს ასე არ უნდა დარჩეს.

## 18 მაისი

ეს რიცხვი ტრადურში იმეტომ არის ჩამოხლი, რომ სწორედ ამ დღეს გარდაიცვალა სოფ. მუხნიანის იმედი და მიზანი: სოფლის მარაგზა გაყვანილიყო საჭირო ადგილზე, რასაც ხელს უშლიდა ადგილობრივი კულაკი.

კულაკი რისი კულაკია, თუ სოფლის კეთილმოწყობას ომი არ გაშოუცხლდა.

საჩივარი შეიტანა სასამართლოში.

— დედას გიტორებ ყველას, მთელს სოფელს! — იმუქრებოდა კულაკი.

— ხახვაც ვერ დაგვაჭრი თავზე. საბჭოთა სამართალი—ეს ჩვენი სამართალია! — უპასუხებდენ გლეხები და იმედოვნებდენ, რომ გამარჯვება მათ დარჩებოდა.

18 მაისს კულაკის ოჯახში ვოჭებსა და ქათმებში დიდ განგაშს ჰქონდა ადგილი.

ბევრი დაჰკლეს საწყლები.

— რაშია საქმე?—კითხულობს გაკვირვებული სოფელიელები.

— სასამართლოს სესიას ელოდება და..

— არ გასჭრის მისი ხერხი;კოვზი ნაცარში ჩაუფარდება!

მაგრამ მოხდა პირიქით.

მოსამართლე კუჭუხიძემ, რომელსაც გვერდს უმშვენიერებდენ: აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი, აიღო კოვზი და:



კულაკის გაშლილ სუფრაზე მიჩრთვი რაცა გინდაო. სამართალს ისე ვაბრუნებ, როგორც და საით მინდაო.

(„პიუგენ“)


გლეხის შეკითხვაზე:—რატომ ასე უსამართლოდ გადასწყვიტეთ სოფლის საქმე კულაკის სასარგებლოდ— თავმჯდომარეს და მოსამართლეს ასე უბასუხნით მათთვის:

— სანამ სუფრაზე დავედებოდით, თქვენი პლანი გზის გაყვანის შესახებ სწორად და სამართლიანად მიგვაჩინა, მაგრამ, როცა დვინო თავში შევიდა, ჩვენ უფრო სწორად მოგვეჩვენა კულაკის პლანი და... გზის გაყვანაც სხვა მიმართულებით დავამტკიცეთ:

სიტყვა პროკურორის ეკუთვნის.

# მფარველი ხელი


კავთიზნევის თემის (გორის მაზრა) ფოსტის გამგეს რევიზიის დროს დააკლდა 500 მანეთი, მაგრამ „დიდი კაცის“ წყალობით მისთვის ხელი არავის უხლია. მსუბუქი კავალერისტი.



**ფულანგველი:** — ჩემი მფარველის ხელის ბრწყინვალეობა თვალს მოსსკრის მათ და ისინი ვერც კი შეამჩნევენ.

# ზესტაფონი

რკ. გზის მუშათა კლუბში დადგეს რადიო, მაგრამ რად გეინდა, მისი ხმა არავის გაუგონია.



# დომენტის აღსარება

ლაშა-დვინკი

ფხიზლად ვერასდროს ვერ მნახავთ, ცხადში ვიყო თუ ძილშია.

ორჯერ მომისწრო უფროსმა უგონოდ ვეგდე თბრილშია. ამ გაკვეთილზე ვერ გასკრა, მე როგორ დავთმობ ღვინოსა,

თუ პარტიული ხელთა მაგქვს, ვინ უნდა შემაშინოსა.

ვაზის წვეწვს დავენაცვლები, დამათროს, დამაძინოსა; თუ გაღეშილი ცხვირს ვიტებს, ვინც უნდა გაიცინოსა.

წარსულ წელს, ექსკურსიაზე ბათომს ვიყავი ვაგონით, კუბე დოქებოთ ავესოთ, გზაში ვიცოდი ვაგონით.

სხვანი ქალაქში წავიდენ, ღვინოს დავესხი ქორივით.

ჩემსვე ნარწყევში წავიდა, ამოვსერილიყავ ღორივით. ყოფა უტირე მიკატნებს, ვსვი და მაწერეს ნისია,

რას გადავუხდი დაახარჯს! რაც შექმნილია სხვისია! ძირუღელღო.

# ბათომი

„ჯაფარიძის ქ. № 18-ში ცნობილი და კაცები“ რევიზიისგან დაშორდა და შათირიშვილი, რომლებსაც ცხადია ცხადია ვართ ცხოვრება და ბინის გაფართოების მიზნით ავიწროებენ სხვებსაც და ერთმანეთსაც. (საბინაო კომისიაში თვითონ შედიან). მათ ცოლებს ყოველდღე მოსდით ჩხუბი და ცემა-ტყეპა.. ბაბინეშვილი.



**ნომარკი:** = რაზია საქმე, რომ ყოველ-დღე მიგაქვთ ცოლებსათვის საკაბე?

**ბოკუჩავა და შპტირიოვილი:** — ჩვენს ცოლებს ყოველ-დღე მოხდით სამზარეულოზე ჩხუბი და ერთმანეთს ტანზე ახევენ.



# ავადმყოფისათვის სისხლის გასინჯვა ზესტაფონის საავადმყოფოში

**მილიცელი:**—მოქალაქე, თქვენ დაჯარიმებული ხართ, რადგან ტრამვიდან ჩამოხტით, ვიდრე ვაგონი გაჩერდებოდა.


**მოქალაქე:**—უკაცრავად, ტრამვაი ჩემს ჩამოხტომამდე დაიძრა.

რა ბედნიერი კაცი ყოფილხარ ამდენი წერილები, რომ მოგვსლია, ნუ თუ ყველა ესენი მეგობრებისაგან არის.

— რის მეგობრები ჩემო ძმაო, ჩაუბარებელი წერილებია.. შეძეზარა დაროგება.

— მერე და რათ დავგროვებია.

— თავისუფალ დროს ვკითხულობ და თავს ვირთავ, ეს არის ჩემი კარგი და თეატრი.



მობხენება საერთაშორისო მდგომარეობაზე



კლუბში დათვის თამაშის დროს

## სამტრედია

ლექსები ამ ჩვენს ქალაქზე არ იწერება ხშირად! მიზეზი კაცმა არ იცის— მიზეზი არ ვარ პირადათ. რა ვქნა, როდესაც ტატიშვილს, არ ესმის ცის, არც ბარისა!— ვოსტაც ყოფილა სხვა „ვინმე“, სხვა ჯიშისა და გვარისა, ბალი დაიხსნა. ამ ბაღში, ისმის ბუკი და ნალარა! ვწუხნდებით და ამ წუხილის, ხსნა - შეველა არ სჩანს, აღარა. გლუხკომზე, საკრედიტოზე, ყური ვერ უძლებს სმენასა! (თუ კიდევ ასე გაგრძელდა ვერ ვიგონობთ აღმადგენასა). ბაწია ბავშვთა ბაღებზე ვლუბებზე, სამკითხველოზე, მზრუნველის ნიტყვა არ გვესმის— არ სჩანან სადარაჯოზე. „ეპო“-ზე, სასადილოზე — (აქ კი დუმილი მჭირია!— ტარტაროზ, შემდეგ მოგმართავ: მაცდურს, კუზიანს, ჭირიანს).. გაგნელი ბზიკი.

## ზუგდიდი

პროფკავშირთა კლუბის რეჟისორი დამთვრალიყო და მოვრალს ქუჩაში დასძინებოდა. ქურდებს ტანზე გაეხადათ და გაეძარცვათ. კაკლარი

## ჩონხა ტაყური

რაც რომ დაბა მივტოვე თვეა ერთი, ანუ ორი, შორს ვარ, მარა ცნობათ მაინც მესმის ყურში რაღაც „ჭორი“. ვითომ ვაეი იგი, ბარვათ ჩვენს „ეპო“-ზე ანაკადი, — ბრის „ნეუნი“, ფრიალ „წყნარი“, მარა თურმე... ფრიალ ფლიდი... თავის პირად „მე“-ობისთვის, რომ აცოცდეს უფრო ზევით, „წამალს“ ეძებს უფროსებთან ლაქუციით და... კულის ქნევით... ხო და, ვეჭვობ ამ ყმაწვილსა, რომ ჩემ-ჩუმათ უყვარს ხრიკი, უტბად ზევით ანაღერი, არ მოაჭრან კულის რიკი... თორემ შემდეგ, რას უშველის ან ფერშალი, ან დოქტორი“ ან თუ ერთი, ან მეორე ან თვით „ნეუნი“... ინსტრუქტორი... და, ეს ლექსიც მან იკუთვნოს, ვინც შოგ თავი თვისი ნახოს; სხვამ თუ არ სთქვას—რას დაეძებს, მანც „ნამუსად“ შეინახოს...  
წაველა:



— პათიოსანი ქურდები ყოფილანი პერანგი დამითოვეს!

**მოსადილე.** — ეს დანა-ჩანგალი კარვად არ არის დასუფთავებული. აგურის ფხვნილი ისევ ზედ დარჩენილა.  
**ოფიციანტი.** — ეგ აგური კი არა ნაცარი გახლავთ, რადგან დღეს ნაცრით გაწმინდეთ დანა-ჩანგალი.

— თქვენს ფორნეში გამოიმცხვარ პურში აი ეს აღმოფარინე.  
— რა არის მოჭალაქე ეგ?  
— ვერ ხედავ რომ თავის კულია.  
— ეს ხომ ტარა-ანა და არა თავის კული. მეც არ გამოკვირდა. თავის კულს ვინ ჩააგობთა პურში. ჩვენთან, ამხანაგო, სანიტარული გიგიენა დაცულია...

# ცნობათა მიღება

**გინი-ოღლის,** (გორდი, ქუთაისის მაზრა): — რატომ გგონიათ, რომ ერთს პიროვნებას (და ისიც ნააფიცრალს) არ შეუძლია ორი თანამდებობის ასრულება, როგორც არის. მასწავლებლობა (შვიდწლედის გამგეთ ყოფნა) და ტყის უფროსობა. „ორი ნესვი არ დაიკავება ხელში“, თორემ ორი თანამდებობა თამამად შეიძლება „დაიჭიროს“ კაცმა, მით უმეტეს, როცა მხოლოდ ფულის მიღებით არის დაინტერესებული და არა საქმის ვაკეთებით. ისიც მართალია, რომ გვიღო ჩიქოვანს, ალბად, ვინმე „დიდი კაცი“ უწყობს ხელს, თორემ ადგილობრივ მცხოვრებთა სამართლიანი საყვედური ამდენხანს დაკმაყოფილებულ იქნებოდა.

**მირზანაშვილს,** (მირზანა): — იხილეთ ამავე ნომერში მე-10-ე გვერდზე სურათი ახალდაბის სკოლისა და მისი მასწავლებლების შესახებ. ერთ-ერთ იმათგანს გვარის მაგიერ წაიკითხეთ თქვენი მასწავლებლის (მაღალან ტოკლი-კოვი) სახელი და გვარი. ამგვარად თქვენი მიზანიც გამართლებული იქნება და ჩვენაც რეჟიმეკონომიას დავიცავთ: არ გავაკეთებთ ერთი და იმავე შინაარსის ორ სურათს.

**უბედურს** (პატარა ჯიანაში): — თქვენი უბედობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, ხოლო ამ წერილზე კი შეიძლება ამისი თქმა.

თქვენ ბრალს სდებთ თქვენი კომკავშირის მდივანს ლოთობაში და უსაყვედურებთ, რომ:

- სხვან დასცინის ქეფობას,
- ვინაიდან დიდ - კაცია;
- ის არ ახსოვს, რომ ადღვამას
- ბოთლი ღვინო წააქცია.

ალბად იმიტომ „წააქცია ბოთლი ღვინო“, რომ ებრძოდა ლოთობას და ატარებდა ანტირელიგიურ კამპანიას. ვინ იცის — ბოთლი ღვინო რომ არ წააქცია, მას წააქცევდა ბოთლი ღვინო.

**შპარანკილს:** — თქვენი „იუმორი“ ასე თავდება:

- შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა
- განას სუყველას სმა უნდა?
- პირში მოსულსა ხიტყვასა,—

ჯანა სუყველას თქმა უნდა? ჩვენ ვამბობთ და ვამტკიცებთ, რომ შავ ლუდსა და წითელ ღვინოს ორივე სმა უნდა (სათრობად კი არა), — ხოლო პირში მოსულ სიტყვას კი ენაზე კბილის დაჭერა უნდა. ეს სავალდებულოა ყველასათვის და, აგრეთვე, თქვენთვისაც.

**შუბაშვილს:** — ნუ თუ საეჭვოთ მიგაჩნიათ, რომ გვწერთ: „თუ ამ წერილს მარილი აკლია, თქვენ მოუმატეთ“-ო.

თქვენ რომ თქვენს წერილზე იცინოთ, ეს სხვა რამეს ნიშნავს. ნუ დაიგვიანებთ და მიმართეთ ფსიქიატრულ ექიმს.

**სლოკუშკას** (ქუთაისი): — გრ. ჭკუასელის შესახებ ერთხელ უკვე გვქონდა „ტარტაროზში“, რომ:

- სულით - გულით ცულაკია—
- ამუშავებს სოფლად გლეხებს.
- კაცი ვარო პარტიული
- და ვინ მომჭამს ნეტა ფხებებს?
- „წაკტობ“ თბილი სამყოფია,
- ბლომად ვიღებ ჯამაგირსა.
- ქალაქშიც ვარ, სოფელშიც,
- მითომ ვიწვევ მალა ცხვირსა.

აწეულმა ცხვირმა (და ისიც პარტიის წმენდის დროს) ჩამოშვება იცის... და არა მარტო ცხვირმა, — ყურებმაც იცის ჩამოყრა.

ჩვენ როგორც გვახსოვს, არტემ ტაბიძის შესახებაც მყოფ ჩვენს ჟურნალში.

ხოლო რაც შეეხება ბელიკოვს, რომელსაც გლეხების ნადირობაზე დახარჯული აქვს 60 ტყვია და თავიდან ფეხებანდე შეიარაღებულია, — მისი განიარაღების შემდეგ საკითხს დავსვამთ მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც შეიკრიბება ერთა ლიგის ინიციატივით ქენევაში.

**სანის:** — წმენდა ყოველთვის და ყველგან საქიროა, ჟურნალიც უნდა გაიწმინდოს ასეთი მასალისაგან და ის უნდა მოთავსდეს ჩვენს უფსკრო გოდორში, ე. ი. ხვდეს ისეთივე ბედი, როგორც ზოგ ყოფილს პარტიულს.

**იალას:** — ჭერ მიგხვდით, რას ნიშნავს „მულის ბილეით“.

**წმმტს** (სადგ. ავჭალა): — ბუფეტის მეპატრონეებზე: მალაქიასა და ჯაბიაშვილზე გვწერთ:

- ჩიტოს პორციას მოგართმევს,
- ფახს კი აიღებს არწივის.
- ნეტა, არამი ფულეგი
- იმათ ჯობეში არ წივის?

ეს სრული ჭეშმარიტებაა. ამაში ეჭვი არ შეგვდის. მაგრამ ის კი საეჭვოდ მიგაჩნია, რომ:

- სუხველა** ცულ ხორც ტფილისო
- ჩვენი ბუფეტი ასაღებს.
- და ასეთ ხორცში, ცხადია,
- მრავალს ფულს ნახავს ასაღებს.

ცული ხორცი აქაც ბევრია. ასე, რომ ყველა ცულ ხორცს მაგენი არ ასაღებენ.

**მაქიშვილს** (ფოთი): — გვწერთ, ამ წერილის აზრი აღებულა. თუ აღების დროს ამის მეტი არაფერი იყო, — რათას იღებდით! ხოლო თუ იყო და თქვენ ამახინჯებთ, ეს უარესი დანაშაულებია. საერთოდ ყოველთვის სჯობია აღამიანი თავისი თავით აზროვნებდეს, (თუ რასაკვირველია, თავს აქვს ამისი უნარი).

**შეშარდენ** (აღბულალი): — ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩნეული; როცა საქიროა კიდევ მათზე წერა, მით უმეტეს ამ ნომერში აღბულალზე მიღის ერთი წერილი.

**ბარიშვილს** (მალაქა, ქუთ. მაზრა): — როგორც ამ თქვენი ლექსის გამოსწორება არ შეიძლება, ისევე არ შეიძლება თქვენი „წითელი“ სასადილოს გამოსწორება, შე კი კაცო, ასეთ ნაკლს ასეთი ცული ლექსი კი არა, აღმასკომიც ვერ ასწორებს.

**მაზნაქუნას:** — გავივიწყებთ გვერდითხებით:

- რაშია საქმე ტარტაროზ,
- რომ არ დაბეჭდვ ლექსიო?
- გამოსაგზავნი მაქვს კიდევ
- ბარემ სუთი თუ ექვსიო.

ნუ თუ ასე ძნელი იყო იმისი მიხედვნა, რომ ის ლექსი გოდორში წავიდა? (არც ისე მიუხედავად გვეგონეს!). გოცხადებთ — თუ გამოსაგზავნი სუთი - ექვსი ლექსი ისეთივეა, როგორც უწინ იყო, — არ დაბეჭდვთ და ტყვილად ნუ აგზავნით. ჩვენ ისედაც გვეყოფა საგოდორე მასალა.


**მოსწიფულს:** — ავტორიტეტად მოგყავთ თავისი ცოლი და ამბობთ, რომ მას ძალიან მოეწონა ეს ლექსიო. თქვენი ცოლის გემოვნება თქვენს არჩევანშიც ნათლად სჩანს. ამიტომ ჩვენ სრულიად არ გვიკვირს, რომ მან ასეთი ლექსი მოიწონა.

**უტიშარს:** — ვერ შეგვაშინებს თქვენი მუქარა:

სანამ არ დაგვიბეჭდავ, არ მოგვევებით. წერილს წერილზე მოგაყრი; დაბეჭდავ, აბა რას იზამ!

რაკი ჯიბრზეა საქმე, პა, ბურთი და მოედანი.

## სულერთია



ბოლღუინი:—ხედავ, მეფე გამარჯვებას ულოცავს  
მაკდონაღლს—მუშათა პარტიის ბელადს!

ლოიდ-ჯორჯი:—მერე რატომ გიკვირს? ჩვენაც  
რომ გაგვემარჯვა, ჩვენაც მოგვილოცავდა... არც ერთ  
შემთხვევაში თაენიდან არაფერს კარგავს!